



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 37



2011 წლის 25 მარტი

ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის (წვევამდელთა გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან თბილისში და უკან) მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 25 თებერვალს (სატენდერო განცხადება NSPA 110005678) და 2011 წლის 17 მარტს (სატენდერო განცხადება NSP 110007743) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სამგზავრო ტრანსპორტის (წვევამდელთა გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან თბილისში და უკან) მომსახურებაზე, რომელიც არ შედგა. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან წვევამდელთა გადაყვანა დაუყოვნებლივ განსახორციელებელია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამგზავრო ტრანსპორტის (წვევამდელთა გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან თბილისში და უკან) მომსახურების გამარტივებული შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერით გამარჯვებულის გამოვლენამდე.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ.ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

